საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატი
GEORGIA
STAFF OF THE CITY HALL OF
RUSTAVI MUNICIPALITY

N 02/13956
04/10/2019

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 52
თარიღი: 9 10 2019 წ.

13956-02-2-201910041841
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ **დავით გამისონიას**

ბატონო დავით,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი N8730/02 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ:

ელექტრონული ტენდერის SPA180002513 ჩატარების შედეგად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჰერიო"-ს შორის 2018 წლის 30 აპრილს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება №06/20 ქალაქ რუსთავში მშვიდობის ქუჩის ა/ბეტონის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, რომლის შესრულების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით; მომსახურების გამწევმა მუნიციპალიტეტის მერიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეასრულა სამუშაოები, რისი გათვალისწინებითაც 2019 წლის 1 ივლისს შეწყდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება. შპს „ჰერიოს" მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შეუსრულებელი ვალდებულება შეწყვეტის მომენტისთვის შეადგენდა 506 960 ლარს. ინსპექტირების ანგარიშში წარმოდგენილია რიგი სამუშაოების ნუსხა, რომელიც შესრულების შემდეგ დაზიანდა და დღეის მდგომარეობით საჭიროებს ხელმეორედ მოწყობას, ღირებულებით- 278 261,85 ლარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიას ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაეკისრა პირგასამტეხლო 220 215,61 (ორასოცდათას ორასთხუთმეტი ლარი და 61 თეთრი) ლარი, საიდანაც გადასახდელია 76 043,50 (სამოცდათექვსმეტი ათას ორმოცდასამი ლარი და 50 თეთრი) ლარი, მიყენებული ზიანის ოდენობა კი შეადგენს 278 261,85 ლარს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარეობს სამართლებრივი ღონისძიებების გატარება შპს „ჰერიო"-ს მიმართ პირგასამტეხლოსა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

რაც შეეხება ახალ ტენდერს, ამ ეტაპზე, საზედამხედველო კომპანია შ.პ.ს. „ოპტიმალ გრუპ +"-ის მიერ წარმოდგენილია შ.პ.ს. „ჰერიო"-ს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაცია, რომლის საფუძველზეც მიმდინარე წლის 24 სექტემბერს გამოცხადდა ახალი ტენდერი (NAT190018652) მშვიდობის ქუჩაზე სამუშაოების დასრულების მიზნით.

პატივისცემით,

ნინო ნიკოლავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი